



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის
ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის
პოლიტიკა და პროცედურები

შინაარსი

1. ზოგადი დებულებები.....	3
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირები	3
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა	3
4. სწავლების პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა	4
5. უსაფრთხოების სტანდარტები	5
6. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და ხელშეწყობის მექანიზმები 5	
7. დასკვნითი დებულებები	6

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას, პროცედურებს და აღწერს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას;
- 1.2. უნივერსიტეტი აღიარებს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას საგანმანათლებლო საქმიანობისა და პროცესების ეფექტიანობის ზრდაში. შესაბამისად, უნივერსიტეტის პოლიტიკა ინფორმაციული ტექნოლოგიების თვალსაზრისით ემყარება საგანმანათლებლო და მმართველობით პროცესებში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მაქსიმალურ ჩართვას.
- 1.3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიზანია უნივერსიტეტში უზრუნველყოფა:
 - 1.3.1. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის არსებობა და მათი აქტიურ გამოყენება საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესში;
 - 1.3.2. უნივერსიტეტში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა;
 - 1.3.3. უნივერსიტეტში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარება და ხელშეწყობა.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირები

- 2.1. უნივერსიტეტში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის, მართვის, ადმინისტრირებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის იქმნება უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.
- 2.2. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფლებამოსილება, ანგარიშვალდებულება და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მოწესრიგებულია ამავე სამსახურის დებულებით.

3. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა

- 3.1. უნივერსიტეტს ინფორმაციის სწრაფი გავრცელებისა და კომუნიკაციის მოსახერხებელი არხების უზრუნველყოფის მიზნით გააჩნია ვებ-გვერდი - www.gau.edu.ge, რომელიც ფუნქციონირებს ქართულ-ინგლისურ ენებზე და ანგარიშები სოციალურ ქსელებში Facebook.com, Youtube.com.
 - 3.1.1. ვებ გვერდისა და სოციალურ ქსელებში ანგარიშების მეშვეობით უნივერსიტეტის პერსონალს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს

მარტივად მიუწვდებათ ხელი უნივერსიტეტთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე.

- 3.2. უნივერსიტეტის შენობა და აუდიტორიები აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებითა და საპრეზენტაციო ტექნიკით.
 - 3.2.1. უნივერსიტეტის პერსონალური კომპიუტერების ცენტრალური მენეჯმენტისა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში დანერგილია ე.წ. Domain Controller სისტემა, რომელშიც გაწევრიანებულია უნივერსიტეტის ყველა პერსონალური კომპიუტერი და შესაბამისად ცალკეულ ოპერაციებზე დაშვებების კონტროლი/ადმინისტრირება ხორციელდება ცენტრალიზებულად.
- 3.3. უნივერსიტეტის შენობაში მოქმედებს უსადენო (wireless) და სადენიანი (wired) კომპიუტერული ქსელები, რომელიც ადმინისტრირების ეფექტიანობის მიზნით იყოფა ქვე-ქსელებად.
- 3.4. უნივერსიტეტის სწავლების პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა დაკავშირებულია Google-ის პლატფორმასთან. თითოეული ახალი მომხმარებელი ავტორიზაციას გადის უნივერსიტეტის მიერ პირადად მისთვის შექმნილი Google-ის ელექტრონული ფოსტით და პაროლით, რაც გულისხმობს იმას, რომ უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს, ლექტორსა და თანამშრომელს აქვს Gmail-ის ავტორიზებული ანგარიში gau.edu.ge დაბოლოებით.

4. სწავლების პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა

- 4.1. უნივერსიტეტი იყენებს სწავლების პროცესების მართვის ელექტრონულ სისტემას, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ და ხარისხიან წარმართვას. აღნიშნული სისტემა შექმნილია როგორც ლექტორების, ასევე სწავლის პროცესში ჩართული ყველა რგოლის თანამშრომლებისათვის.
- 4.2. სწავლების პროცესების ელექტრონული სისტემა გარდა სასწავლო პროცესში დამხმარე სხვა საკითხებისა, უზრუნველყოფს შემდეგ მნიშვნელოვან ფუნქციებს:
 - 4.2.1. სტუდენტების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის სისტემატიზაციას (პირადი მონაცემები, ბრძანებები, განცხადებები, ცნობები და სხვა);
 - 4.2.2. საგანმანათლებლო პროგრამების, მისი კურსებისა და ყოველ სემესტრული ცხრილების შესახებ ლექტორებისა და სტუდენტებისთვის მარტივ ხელმისაწვდომობას;
 - 4.2.3. ელექტრონული ჟურნალის წარმოების შესაძლებლობას;
 - 4.2.4. ლექციების აღრიცხვის შესაძლებლობას, რომელიც აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას აძლევს ელექტრონულად დააფიქსიროს ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.
 - 4.2.5. ბილინგის ადმინისტრირების სისტემას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: დავალიანების, ფასდაკლებისა და გრანტების დარიცხვის სქემებს. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დავალიანება იხილოს პირად პორტალზე. გადახდის დროს კი პირადი ნომრის იდენტიფიკაციის (ბილინგის სისტემის-MPS

პროგრამის) საშუალებით თანხა ავტომატურად ისახება ბაზაში სტუდენტის ანგარიშზე.

5. უსაფრთხოების სტანდარტები

- 5.1. უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური ზრუნავს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ამ მიზნით უნივერსიტეტში არსებული ყველა არასაჯარო ინფორმაცია დაცულია პაროლებით, რომელიც ცნობილია მხოლოდ ინფორმაციაზე ავტორიზებული პირებისთვის.
- 5.2. უნივერსიტეტის პერსონალს, სტუდენტებს და სხვა ნებისმიერ პირს ეკრძალება ნებისმიერი მანიპულაცია ინფორმაციასა და მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის მოსაპოვებლად. აღნიშნული მიზნით ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი მონიტორინგი და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მოახდინოს სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება.
- 5.3. უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით განთავსებული ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური უზრუნველყოფს ელექტრონულად არსებული ინფორმაციის დაარქივებასა და სარეზერვო ასლების შექმნას.
- 5.4. უნივერსიტეტში მოქმედებს შენობაში დაშვების ელექტრონული სისტემა, რომლის სპეციალური ბარათების მეშვეობით კონტროლდება პირთა უნივერსიტეტში შესვლა.

6. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და ხელშეწყობის მექანიზმები

- 6.1. უნივერსიტეტში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, ახალი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ცალკეულ პროცესებში, ეფექტიანობის უფრო მაღალი ხარისხის მიღწევა და ამავე მიზნით არსებული ტექნოლოგიების ახალი, თანამედროვე ალტერნატივებით ჩანაცვლება უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.
- 6.2. უნივერსიტეტში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და ხელშეწყობა მუდმივი პროცესია, რომელიც ხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის, მისი სასწავლო პროცესში ჩართვის ეფექტიანობის ხარისხის შეფასებას და შედეგების შესაბამისად მოქმედებას.
- 6.3. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიზნით გამოყენებული შეფასებები მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების შეფასების შედეგებს და ამასთან უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელის შეფასებას/ანალიზს, რომლის საფუძველზეც

გაუმჯობესებისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრისთვის, უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტს წარედგინება კონკრეტული წინადადებები.

7. დასკვნითი დებულებები

- 7.1. წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცება, ასევე მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.